ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N280222/6
გამარტივებული შესყიდვა
დაფინანსების წყარო 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ქ. თბილისი **2022 წ.**

სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო (მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22 ა.ა GE24NB0330100200165022 საიდენტიფიკაციო კოდი - 200294519), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამარ მელიქიძის** სახით და **შპს „კოპალა“** (ს/კ 206118075; მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ჩეხოვის ქ., №8/10; ანგარიშსწორების ანგარიში: სს „თიბისი ბანკი“; TBCBGE22; GE82TB0700000001467900 (შემდგომში – „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **ვოისლავ ჯურიჩიჩ კოპალეიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც ''მხარეები'', მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილების N20 დანართის მე-5 მუხლის 1[1], მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის“ მე-4 მუხლის „ა[1]“ – „ა[4]“ ქვეპუნქტებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ადმინისტრაცია“ - სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ამ ხელშკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული პროცესის ტექნიკურ მხარდაჭერას, ბაზრის კვლევისა და მიმწოდებელთა შერჩევის ღონისძიებებს, მიმწოდებლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებას, მათი შესრულების მონიტორინგს, ინსპექტირებას/მართვას და ინსპექტირების აქტების სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდებას (საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით), ურთიერთშეთანხმებული ფორმატით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშკრულების საგანია „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილების N20 დანართის მე-3 მუხლის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპონენტის ფარგლებში სასტუმრო მომსახურების შესყიდვა **(CPV 55110000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **70560,00** (სამოცდაათი ათას ხუთას სამოცი ლარი და 00 თეთრი) **ლარს;**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მომსახურების გაწევის ვადა: **2022 წლის 15 თებერვლიდან 2022 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.**

3.4. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, სასტუმრო „New Kopala Hotel”.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) გააჩნდეს ინდივიდუალური გათბობის სისტემა და არა საერთო კონდინცირების სისტემა, გამოყოს სასტუმროში არსებული ნომრები კარანტინის ფარგლებში;

გ) უზრუნველყოს სტუმრები სამჯერადი კვების მომსახურებით (საუზმე, სადილი, ვახშამი), საკვები მიწოდებული უნდა იყოს ერთჯერადი კონტეინერებით, საკვების მიწოდება უნდა მოხდეს სასტუმროს ნომრის კართან ერთჯერად პარკებთან ერთად. ასევე, მიმწოდებელი ვალდებულია ნაგვის (საჭმლის ნარჩენები და ა.შ.) გატანა (საჭიროების შემთხვევაში უტილიზაცია) რეგულარულად

განახორციელოს ჯანმოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში. ამასთან ერთად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასტუმროს ტერიტორიაზე არსებული დაცვის მომსახურების გამწევი პერსონალის და სამედიცინო დახმარების ჯგუფის სამჯერადი კვებით უზრუნველყოფა.

დ) უზრუნველყოს თეთრეულის მიწოდება სასტუმროში განთავსებისას ყოველ ახალ შემოსულ პირზე. სასტუმროში განთავსებულ პირებს მიაწოდოს ჰიგიენური თავის მოვლის საშუალებები: ტუალეტის ქაღალდი, საპონი, შამპუნი, დასაბანი გელი, ჭურჭლის სარეცხი საშუალება, კბილის პასტა, კბილის ჯაგრისი, ერთჯერადი ჩუსტი, ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზემოთხსენებული ნივთების საჭიროებისამებრ განახლება მარაგის ამოწურვის შემთხვევაში.

ე) სასტუმროში განთავსებისას ყოველ ახალ შემოსულ პირს დაახვედროს: თერმომეტრი (თერმომეტრების დეზინფექცია (საჭიროების შემთხვევაში უტილიზაცია) უნდა მოხდეს ჯანმოს მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით ყოველი სტუმრის გასვლის შემდგომ), ელექტრო ჩაიდანი, ჭიქები და კოვზები (სასურველია იყოს ერთჯერადი) ჩაი, ყავა, შაქარი, ასევე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პირები წყლით, დღეში ორი ბოთლი წყალი 1 პერსონაზე.

ვ) ოთახები აღჭურვილი უნდა იყოს მაგიდის და იატაკის საწმენდებით (ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოყენებისთვის), ცოცხით და აქანდაზით.

ზ) უზრუნველყოს ყოველ ორ დღეში ერთხელ სასტუმროს ოთახებისა და მიმდებარე ტერიტორიის დალაგება (ნაგვის გატანა).

თ) უზრუნველყოს სასტუმროს იმ ოთახების დეზინფექცია, სადაც განთავსებული იყო COVID-19 ვირუსით ინფიცირებული პირი. შესაბამისად იმ სივრცეების დეზინფექცია, რომლის მეშვეობითაც მოხდა COVID-19 ვირუსით ინფიცირებული პირის სასტუმროში შეყვანა-გაყვანა. დეზინფექცია განხორციელდეს ლიცენზირებული სადეზინფექციო სამსახურის მიერ, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. სადეზინფექციო მომსახურების საფასური განისაზღვრება 1მ2 არაუმეტეს 0.14 ლარით. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი დღის ვადაში წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება სადეზინფექციო მომსახურების შესახებ.

ი) ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეწყვიტოს იდენტური მომსახურების გაწევა სხვა პირებისთვის, არ დაუშვას მესამე პირების შესვლა სასტუმროს შენობაში, გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიმღები პირებისა და მომსახურების გამწევი სასტუმროს პერსონალისა.

კ) არ დაუშვას, ხელშეკრულების დადებამდე და მისი დადების შემდგომ ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობის გარეშე, სოციალური ან სხვა მედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელება ხელშკრულების პირობების შესახებ, ადმინისტრაციასთან შეთანხმებას ექვემდებარება ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ეხება სტუმრების იზოლაციას, საკარანტინო პირობებს, მათ კვებას და მათ განთავსებას.

ლ) განიხილოს შემსყიდველის/ადმინისტრაციის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

მ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ნ) საკარანტინო სივრცეებში განთავსების მიზნით განსაზღვრულ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა. სასტუმრო ვალდებულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 თებერვლის №61 დადგენილების საფუძველზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საკარანტინო სივრცეებში განთავსების მიზნით უცხო ქვეყნებიდან შემოსული პირების, ასევე, უცხოეთიდან შემოსული საქართველოს მოქალაქეების პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, ასევე, მბულზე Registration.gov.ge მონაცემთა შეყვანის დროს არ მოახდინოს მესამე პირთათვის აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა და არამიზნობრივად მათი გამოყენება, აგრეთვე სასტუმრო ვალდებულია დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი პირობა.

ო) უზრუნველყოს სამედიცინო აღჭურვილობა.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული და სათანადოდ გაფორმებულიმომსახურების ინსპექტირების აქტის საფუძველზე, მომსახურების მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი/კონტროლი/ინსპექტირება განხორციელდება ადმინისტრაციის მიერ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და შედეგები აისახება ინსპექტირების აქტში.

6.2. ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია, წერილობით დადგენილ ვადებში, გამოასწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.3. თუ ამ მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში, თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება ხორციელდება შემდეგი პირობებით:მიმწოდებლის ინსპექტირების აქტი, შესრულებული სამუშაოს (მომსახურების ვადის) დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში, ადმინისტრაციის მიერ წარედგინება შემსყიდველს,

ინსპექტირების აქტის საფუძველზეც, მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის, ინსპექტირების აქტის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ინსპექტირების აქტით აღიარებული და მიღებული მომსახურების ღირებულება, ინვოისის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების -დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ როგორც სასტუმრო მომსახურების, ასევე კვებისა და დეზინფექციის თანხის ანაზღაურება მოხდება ინსპექტირების შედეგად აღიარებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით დაფიქსირებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს, ინსპექტირების აქტის საფუძველზე, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისა და/ან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ამ პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება ადმინისტრაციას.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, რაზედაც ეცნობება ადმინისტრაციის მიერ ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება **მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროებიოსამებრ შეცვალოს/შეწყვიტოს მომსახურების გაწევის ვადა.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 1 (ერთი) ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ასევე ეგზავნება ადმინისტრაციას.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

მის: ქ.თბილისი, ა. წერეთლის N144
ს/კ 200294519; ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
კოდი:TRESGE22; ანგარიში: GE24NB0330100200165022

_____

სააგენტოს დირექტორი
თამარი მელიქიძე

მიმწოდებელი

შპს „კოპალა“

მისამართი: ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ჩეხოვის ქ., №8/10
ტელეფონი: 557 737 003;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“; TBCBGE22; GE82TB0700000001467900
ს.კ. 206118075

_____

ვოისლავ ჯურიჩიჩ კოპალეიშვილი
დირექტორის მინდობილი პირი

LEPL National Health Agency
Digitally signed by LEPL National Health Agency
Date: 2022.02.28 14:42:43 +04'00'

დანართი N1

№	ოთახების რაოდენობა	ოთახის ღირებულება (დღიური)	1 პერსონის სამჯერადი კვების ღირებულება (დღიური)	დეზინფექციის ღირებულება (1 კვ/მ)
1	**42**	**95.00 ლარი**	**25.00 ლარი.** მათ შორის: • საუზმე 9.00 ლარი • სადილი 7.00 ლარი • ვახშამი 9.00 ლარი	**0.14 ლარი**